ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4768818

ნომერი: AR1718028

თარიღი : 11.11.2019

გაცემის თარიღი : 27.11.2019

გაცნობის თარიღი : 06.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 35-37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 26 ნოემბრის №AR1718028 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2018 წლის 24 მაისის №3978628 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის №4753312 ბრძანებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები. კერძოდ, დაგევალათ მოთხოვნის დაზუსტება სამსახურის 2018 წლის 24 მაისის №3978628 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით და შპს ,,იქსორი მცხეთაზე" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405276598) დირექტორის ვალერიან კირკიტაძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2019 წლის 20 ნოემბრის №4759775 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, მცხეთის ქუჩა N35-37, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.11.031.033), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 20 ნოემბრიდან 2021 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულ უნდა იქნას 2019 წლის 20 ნოემბრის №4759775 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია იმა "მცხეთის ქუჩა 35-37" (205024828).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 2018 წლის 24 მაისის №3978628 ბრძანების შემდეგ, სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4759775 ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა 2019 წლის 20 ნოემბრის №4759775 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან, სამსახურის 2019 წლის 15 ნოემბრის №4753312 ბრძანებას გაეცანით 2019 წლის 25 ნოემბერს, ხოლო განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2019 წლის 26 ნოემბერს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 05 (ხუთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 04 (ოთხი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 04 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2019 წლის 11 ნოემბრის №AR1718028 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.